

ს ს მ ა რ თ ვ ლ ი ს მ ი ღ ვ ი ნ ი - მ ი ვ ი ნ ე ბ ი თ ს ყ რ ლ ი დ ა თ ს ს ა გ ხ ი ს ღ რ გ ა ნ ი

ვ ა ხ ი ლ ე რ ვ ი ნ ი

წ ე ლ ი ტ ბ დ ი ჩ ი რ შ ე ლ ი.

№ 11

ქ რ ი ს ტ ე მ ღ ი ს ი ს თ ვ ე 1920 წ.

№ 11

შ ი ნ ა ა რ ს ი :

- ჩ ე ნ ი ლ ვ ა ნ ი ს ქ ა მ ი უ რ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ლ ა პ რ ა ფ . 3. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ა
- კ ა ხ ე ლ მ ე ვ ე ნ ა ხ ე თ ა თ ა თ ბ ი რ ი ს . ვ ე ლ ი ს ც ი ხ ე შ ი

უ უ რ ნ ა ლ ი ს გ ა მ ი ც ე მ ი ს პ ი რ ი ბ ე ბ ი :

შ უ რ ნ ა ლ ი ჯ ე რ ჯ ე რ ი ბ ი თ გ ა მ ი ვ ა ო რ კ ვ ი რ ა შ ი ე რ თ ხ ე ლ , ა რ ა ნ ა კ ლ ე ბ 16 გ ვ ე რ დ ი ს ა ,
თ ი თ თ ნ ი მ ა ს ი ს ფ ა ს ი ს ა ბ ჭ ი ს მ ი ე რ გ ა ნ ს ა ზ ლ ვ რ უ ლ ი ა 50 მ ა ნ . ა მ ფ ა ს ი თ უ უ რ ნ ა ლ ი ს გ ა -
მ ო წ ე რ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა ს ა მ ი თ ვ ი თ .



უ უ რ ნ ა ლ ი ს რ ე დ ა ქ ტ ი ა ი მ ე თ ი ვ ე ბ ა ს ა ბ ჭ ი ს ბ ა ნ ა ზ ე დ — თ ბ ი ლ ი ს ი ,
ნ ი ნ ტ შ ე ი ლ ი ს ქ ტ ნ ა № 5 .

ჩევნი ღვინის ქიმიური შემსრულებელი. *)

შევენახეობა და მეღვინეობა შეადგენ-
და და ეხლაც შეადგენს საქართველოს
შეუჩინების ერთს უმთავრეს დარგთაგანს.
დაახლოებითი გამოანგარი შებით ვენახე-
ბით გაშენებული აღგილი უდრის 60.000
დესტრინს, მაგრამ რასაკვირველია ამითი
ამ განისაზღვრება ვენახებისთვის გამოსა-
დეგი აღგილის რაოდენობა. საქართვე-
ლოში კიდევ მრავლად მოიპოვება თავი-
სუფალი, საენახედ გამოსადეგი, მიწა-
მისოთვის საჭიროა, რომ ყურძინს პრო-
დუქტს (ღვინოს) გასავალი ჰქონდეს არა
მხრილოდ მის წარმოების აღგილზე, არა-
შედ საზღვარ გარეთაც. აქმდის კახური
ღვინის ექსპორტი ძალიან განსაზღვრული
იყო; იგი მხოლოდ უსეთ ში გაქინდათ
და ისტუ მხოლოდ მცირე რაოდენობით.
ჩევნს ქვეყანაში მოზადებულ ღვინოებს დი-
დი მოთხოვნილება რომ ჰქონ დეს და საზღვარ
გარეთ მათზე მოთხოვნილება ვაზარდოს,
ამისათვის საჭიროა ძირითადად შეიცვალოს
ის მეთოდი, რომლითაც სარგებლობენ
ჩევნში როგორც ღვინის მომზადებისა,
აგრეთვე მისი მოვლისა და შენახვის
დროს. საქართველოში შემუშავებულია
მარიან თავისებური და მაღალ ხარისხი-
ანი ყურძინის ჯიშება: ჩქაწითელი, მწვა-
ნე და საფერავი, რომლებმაც გავრცელება
ჰქონვეს შორის, თავის საზღვრების გარე-
შე; ამასთან ვე შემუშავებულია ვენახ-
ადგილებისა, ნიაღაისა და ჰავის პირო-
ბათა მიხედვით კულტურის ფორმები,
წესი ვაზის შეყვალვის (აღმოსავლეთი იმე-
რეთი და კახეთი), მეღვინეობა კი დღე-
საც პირვენდელ საფეხურზე დგას და ვე-
სავითარ გაუმჯობესობის შეტანას ღვი-
ნის მოვლა-პატრიონობის წესში ჩევნ ვერ
ვჰდეთ; ღვინის მოვლის წესი დღესაც
იმ მდგრადირეობაშია, როგორშიაც იგი

*) ეს შრომა გამომიერდილია თბილი-
შის უნივერსიტეტის მოამბიდან № 1.

შევლის შევლად იყო. ყოველ შემთხვევა
ში ძველი ადგილების გათხრის ღრუ-
ალმოჩენილი ძვევრების ნატეხები გვიჩვ-
ნებენ, რომ ძველად ღვინოები ისევე
ინახებოდა, როგორც დღეს, ე. ი. მიწა-
ში ჩაფლულ ძვევრებში. ღვინის დამზა-
დების წესის, ამ გვარი დაქვითება ჩევნი
ღვინოების განსაუკუთრებული თვისებებით
კი არ აისხნება, არამედ, შესაძლოა, მე-
ღვინების კონსერვატიზმით.

ჩევნი ვაზის ჯიშებიდან შეიძლება ჭა-
ლიან მაღალი ღირსების ღვინო მივიღოთ.
ამას გვიჩვენებს სახელმწიფო მამულების
(ყოფილი საუფლისწულო) მეურნეობა, რომელიც,
როგორც შემადგენლობით, ისე ჯემოთი ევროპიულ მსგავს მაღალ
ხარისხიან ღვინოებს ამზადებს. სამწუხა-
როდ საქართველოს მეღვინეობა შორის
საუფლისწულო მამულების მიმბადველი
შედარებით ცოტა აღმოჩნდა: ამ უწ-
ყებს მაგალიონის მიუხედავად ღვინოს
ჩევნში დღესაც ძველებურად ამზადებენ.
ჩევნმა ლაბორატორიამ მიზნად დაისახა
შეისწავლოს ჩევნი ღვინოების შემადგენ-
ლობა, დაახსათოს ეს ნაწარმოები ანა-
ლიზების შედეგების მიხედვით და უწვე-
ნოს ის საშუალებანი, რომლებსაც ჩევნი
აზრით, შეძლია გააუმჯობესოს ღვინის
ღირსება.

ამ გამოკვლევაში მონაწილეობა მიი-
ღია: ქ. თ. ბებურიშვილისამ, მ. ბექა-
იძე, მ. შალამბერიძემ და ქ. ნ. ციცი-
შვილმა.

ქვევით მოყვანილია ანალიზის შედე-
გები, რომლებიც განმარტავენ ჩევნი ღვი-
ნოების ბუნებას (ი. ანალიზების ცხრილი
გვერდი).

დავიწყოთ ღვინოების დახასიათება ალ-
კომოლის შეცულობის რაოდენობიდან.
ჩევნი ღვინოების უმეტესობა უფრო ხში-
რად შეცავს მოცულობის 12%, ანუ
წონის 10% ალკომოლს. სუფრის ღვი-
ნოსთვის ეს ალკომოლის რაოდენობა ით-
ვლება დიდად. ამ მხრივ საუფლისწულო

ალკოჰოლი წარმოსდება ღვინოში
შაქრის დუღილის შედაგად. როგორც
პასტერი გვიჩვენებს, 100 წონაშილ შაქ-
რიდან ჩნდება 48 წონაშილი ალკოჰო-
ლი. დუღილის ივევენ დამდუღებელი
სკარები *Saccharomyces*-ები, რომელ-
ჲიც თავის საკებავიდ ხმარმბენ 5% -მდე
შაქრს. დანარჩენი რაოდნობა შაქრისა
იხარჯება დუღილის დროს ალკოჰოლის
განენზე. დუღილის გამომწვევი *Saccha-*
romyces-ები განიჩრევიან ერთმანეთისა-
ვან გარეგანი შეხედულობით და შაქრის
სხვადასხვა დადუღების ძალის უნარით.
ზოგიერთ მათგანს შეუძლიან შაქრის
სხილში წონის 14% ალკოჰოლი გა-
ჩინოს; სხვები კი აქერებენ თავიანთ მო-
შედებას უფრო დაბალ ოდენობის ალ-
კოჰოლიან გარემოში: 'მაგ. *Saccharomy-*
esc apiculatus სწყვეტს დუღილს ალკო-
ჰოლის წონის 4% -იან გარემოში.

საქართველო უნდა შევნიშნოთ, რომ კანური ღვინის დედას შეუძლიან ალკოჰოლის დიდი რაოდენობის ატანა, მოცულობით $1\frac{1}{4}$ -მდე, და ამასთანავე მათი

მოქმედება ალკოჰოლის ფილი რაოდენობის მიუხედავად არ ფერხდება და შექარი თითქმის ბოლომდე იშლება, რასაც მოყვანილ ანალიზებში ვხედავთ. ამ უმაღ ბევრს დიდი მეღვინეობის ქვეყნებში არსებობს მეღვინეობის სადგურები, რომლების მიზანსაც შეაღებენ ღულილის პირობების, ავადმყოფობის მიზეზების შეწყვეტა და მათი თავიდან აცილება.

თუ საქართველოს მეღვინეობას მომა-
ვალი ელის და იგი იმდენად გაფართოვ-
დება, რომ ეხლანდელი მეღვინეობის მი-
დამოქმებს გასცილდება, ამ შემთხვევაში
საჭიროება მოითხოვს შესწავლილ იქმ-
ნას მძლავრი დუღილის დედის ბუნება,
რომელიც მონაწილეობას იღებს კახური
ღვინის წარმოშობაში. უნდა შევნიშნოთ,
რომ ყოველ მეღვინეობის მიღმოს ეთვი-
სება განსაკუთრებული ღვინის დედა, და
იმ ქვეყნებში, სადაც მეღვინეობა არ არ-
სებულა, არ არსებულა ღვინის დედაც, რის
გამოციქაური ტებილი არ დუღილებოდა. ეს
გავლენა აკეთებული ევროპიელ აზალშე-
ნელებს, სანამ ისინი არ მიხვდენ, რომ
ამის მიზეზი არის ღვინის უდედობა; და
როდესაც ამ ტებილს მისცეს რჩეული
ღვინის დედა, დუღილმა ნორმალურად
იწარმოვა.

დუღლილის დროს ალკოჰოლის გარედა
ჩნდება გლიცერინი და ქარვის მჟავა, რომ-
ლებიც, როგორიც ქვეით იქნება ნაჩვენები,
წარმოადგენ დანის დედის ფაზიოლოგი-
ური მოქმედების შედეგს დაარა შექრის
დაშლის პროდუქტს, როგორიც არის ალ-
კოჰოლი და CO_2 .

დუღილი წარმოადგენს ეკზო თებრიულ
პროცესს, ომლის დროსაც თავისუფ-
ლდება სითბო. ამიტომ დუღილში მყოფი
კაბილისტ ტემპერატურა არეგულირდება.

ყერისაზე ყოველთვის უფრო მაღალია. ამ შემთხვევაში საღუდებელი კურტლის სიღი-დეს აქვს რაოდენიმე გავლენა: დიდ ჰურ-კელში ტემპერატურა უფრო მაღლა იწევს, ვიდრე პატარაში. მიუნცის*) მოწმობით ალფინში ტყბილის ფულილის დროს ტემ-პერატურა აღის 40-შედე, და ოუ 43°-ს მია-წევს, ღულილი სრულიად ჩერდება, რაც ხანდახან კიდევაც მოხდება ხოლმე. ღულილი წარმოებს განსაზღვრულ ტემპერატურისა და ტკბილში შაქარის კანცეტრაციის საზღ-ებში. კონცენტრაციის სიღილის მიხედვით იცვლება გრეთვე ოსმოტიური წნევა (და-წოლა), რის გმოც ღვინის დედის ტენია-ნობა კლებულობს და ღვინის დედის მო-ქმედება დროებით წყდება. ამის შესახებ გე-რმანეთის მეცნიერს გორგომანს**) მოცყავს ძალიან საინტერესო მაგალითი: ერთ ტკბილი შეიცავდა 46,5% შაქარს. ხელშემწყობ-პირობათა მიუხედოვად ღულილი სწარმოებ-და ისე ნელა, რომ სამი წლის შემდეგ ალკოჰოლის რაოდენობა თითქმის არ შე-ცვლილა, თუმცა ტკბილი შეიცავდა დე-დას, რომელსაც ხელშემწყობ პირობებში ღულილის გამოწვევა შეეძლო. ალკოჰო-ლის გარდა ღულილის დროს, როგორც უკვე ზევით იყო მოხსნებული, ჩნდება გლიცერინი და ქარის შეავა. პასტრის, რომელმაც ღვინოში პირველად აღმო-ჩინა გლიცერინი, ეგონა გლიცერინი წარ-მოადგენს ალკოჰოლისა და CO_2 -სავით შაქრის დაშლის პროცესს, — ღულილის უს შეალო პროცესს. მან დააღვია გრეთვე ცნობილი ნორმა გლიცერინი-სათვის: 100 წონა-წილ ღვინოზე 10 წო-

*) Müntz, *Les vignes*, 336, 500.

**) Wofmaun Die wissenschaftlichen Grundlagen der Weinbereitung S. 108

^{*)} Annual reports on the progress of Chemistry p. 61.

R. Schweizer, Helv. chim. Acta 1919. 2. 176.
page 239

w Connstein and K Ludecke, B. 1919.
52 (B) 1385.

ქრიდან, როგორც მის დაშლის ერთ-ერთ საფეხურისა, მართლდება. ტკბილის დუღილი რომ ძლიერი ღვინის დედით ვაწარმოვოთ და მასში შევიყვანოთ ისეთი ნივთიერებანი. რომლებიც დუღილს ანგლებენ (როგორც მაგ. Na_2SO_4), მაშინ ღვინოში გლიცერინის ოდენობა მატულობს. ეს ასე იმიტომა ხდება, რომ მციალვინის დედა შაქარს ბოლომდისინ ვეღარა შლის და შეუგზავნებას თავის მოქმედებას. ეს გარემოება თანაბრძობაშია იმ შეხედულებასთან, რომ გლიცერინის ალდეგიდი და დიოქსიდურინი წარმოადგენენ შაქარს დაშლის შეაღა საფეხურებს. მაგრამ, მაინც თუ ავილეთ ერთის მხრივ ალკოჰოლის რომენობა ღვინოში, ხოლო მეორეს მხრივ გლიცერინისა, რომენიმე დაახლოვებით მაინც შეიძლება დავასკვნათ, ჩარეცული იყო ღვინოში ალკოჰოლი თუ არა. „მელანი-“¹ ს ღვინოში 1912 წ., რომელშიაც ალკოჰოლის შოცულიბით რომელობა 15% შეადგნდა და წარნითი შეფარდება იმ უკანასკნელისა გლიცერინით $100: 6,7$ გამოიხატებოდა, რომენიმე სიმართლით შეიძლება ითქვას, რომ ეს ღვინო ალკოჰოლ ჩაძრებული იყო.

ყველა აღმას ღვინოებში საერთო სიმუშე იღვლება $0, 55—0,75\%$ -ის საზღვრებში. ღვინის მევანობა წარმოადგენს მის ერთ დამახსიათებელ თვისებათაგნეს; ნამეტანი დიდი ანუ მცირე რაოდენობა მასი ღვინოს პერის ჩვეულებრივ გემოსთვის შეუფერებლად და ხმარებისათვის, უვარებისად. ღვინოში მევანი ასებობა პერის მას მტკიცედ და იფარავს ავადმყოფობისაგან. ზოგიერთი ღვინოები შეიცვენ მევანის მცირე ოდენობას—დაახლოვებით $0,5\%$. ამისთანა ღვი-

ნოები დიდხანს არ ინახება. მათი მევანინობა თანდათან კლებულობს და ამასთან ერთად კლებულობს ავალყოფებასთან ბრძოლის უნარი. შიუნცის აზრით თვით ღვინის დუღილის მსვლელობა და შემდეგი განვითარება დაკავშირებულია ღვინის ქვის მევანის რაოდენობასთან. ორი ნიმუში ღვინისა,—ერთი 1893 წლისა, რომელიც შეიცვდა $0,535\%$ ღვინის ქვის მევანს, და მორე 1894 წლისა $0,964\%$ -იან მევანი,—მკაცრად ერჩოდენ ერთი მეორეს. მეორეში დუღილი და შემდეგი განვითარება წარმოებდა წესიერად, მაშინ როდესაც პირველი ღვინო დალგა ნაკლები თვესებიანი. იმ განსხვავებას მიუნცი იწერს ღვინისქვისმევანს. ღვინესქვის მევანის მომატება, თუ იგი აკლია, ასწრაფებს დუღილის მსვლელობას და ღვინის შემდეგ განვითარებას.

მქროლადი მევანი ღვინოში ჩნდებიან დუღილის ლროს ბაქტერიების *Bacteria aceti* ს მიერ. ეს ბაქტერიები მოიპოვება ყურძნის მარცვლებზე, საიდანაც ღვინის დედასთან ერთად გადადიან ტკბილში. რაღაც ზემოთ დასხელებული ბაქტერიები ეკონტი იარიან, ამიტომ ისინი ვითარდებიან ჭაჭაბე იმ ადგილზე, სადაც ღვინოს პერი ხდება. მქროლად მევანი გარდა ძმრის მევანისა გვევდება იგრევე სხვა მევანიც (ერბოს მევანი), რომლის გამომწვევ მიზნებადაც უნდა დავსახოთ ავმდგრაფობის გამომწვევი, ეგრეთ წოდებული *Mycoderma vini*, და იგრევე სხვა ბაქტერიები. 1919 წლს საჭამლებელ საშუალებათა უქონლობისა და ცუდი ამინდას გმო, ტკბილში მოპყვა დამკალი მარცვლები, რომლებსაც თან ჩატყვა იგრევობის გამჩნი ბაქტერიები, მაგ. *Mycoderma vini*, და მათი წყალობით შიუნ-

ბა ერბოს მფავის სუნი, რომელიც ამ წლის ღვინოებს ახასიათებდა. სხვა და სხვა ქვეყნებში შექროლად მევევების ნორმა სხვა და სხვა რაოდენობით არის განსაზღვრული — გრძელად მაგალითად, თეორი ღვინოებისთვის დასაშვებია $0,12 - 0,16\%$ მდე. თუ აღნიშნულ მევათა რაოდენობა ძალიან სკილდება ამ ნორმებს, ასეთი ღვინონ ავადმყოფად ითვლება. ძმრის მევის გაჩენას ყოველთვის თანა სდევს უსიამოვნო სუნის ნივთიერების გაჩენა.

ღვინის ქვის მევის გარდა არამეტროლად მფავებს უნდა ვაკუუმით ვაშლის მევა, რომელიც რძის ბაქტერიების წყალობით ხშირად გადიქცევა ხოლმე რძის მევის გაჩენის მასალად.

ყველა გასინჯულ ღვინოებს დაუდუღებელი შაქარი პრჩება მცირე რაოდენობით. თუმცა ღვინოს შაქარის ეს რაოდენობა გემოთ არ ემჩნევა, მაგრამ ამისთანა ღვინო უდგრომელი ხდება, უდროდ შეიძლება დაწყოს დუღილი, და ამიტომ მეღვინეობა შაქარის სავსებით დაღულებას რომ ხელი შეუწყოს, თვალყური უნდა ადვენოს ღვინის დედის თავის დროზე გამოცულებებს; ამ შემთხვევაში კახეთის საუფლისწულო მამულების ღვინოები წარმოადგენ გამონაკლისს: გათში ან სრულიად არ არის შაქარი, ან დაძლიან ცოტა.

ჩვეულებრივად დამზადებული კახური ღვინოები შეიცავენ ძალიან ბევრს გუნდილოვან (ტანინიან) ნივთიერებას: წითელ ღვინოებში საშვალოდ $0,3 - 0,45\%$ მდე. დასავლეთ ერთობიულ ღვინოებისთვის ეს რიცხვები მიუღებლად ითვლება. გუნდილოს (ტანინის) დადი ღვინობა აიხსნება ღვინის დამზადების თავისებური წესით. ჩვენ ღვინოებს, რო-

გორც წითელს, აგრეთვე თეთრს, ნემფრან დიდ ხანსა სტოვებენ ჭაჭაზე და კლერტებზე, რომლებიც ძალიან მდიდარია გუნდილოვანი (ტანინიანი) ნივთიერებით. სასურველად მიგვინია, რომ წევნი ღვინო წარმოების საზღვრებს გასცილდეს, მაშინ აუცილებლია ღვინის დამზადების იმ წესზე გადასვლა, რომელსაც მისდევენ დასავლეთ ევროპის მეღვინეები. ამის მაგალითი გვაქვს ჩვენ საუფლისწულო მამულების ღვინოები თავისი თვისებებით ევროპიულ ღვინოებს უახლოვდება. ზოგიერთ მეღვინეობის, მაგ. „მელაანი“-ს წითელი ღვინოები $0,5\%$ ზე მეტს გუნდილოს (ტანინის) არ შეიცავენ, ხოლო მათს ევროპიულად მომზადებულს თეთრს ღვინოებში $0,16\%$ ზე მეტი არ მოიპოვება. თუმცა ღვინის ხანგრძლივი დატოვება ჭაჭაზე და კლერტზე, მათ მიერ ტანინის ღილი რაოდენობის გამოლება, ალკოჰოლთან ერთად ღვინოს დავადებისას გან უზრუნველყოფს, მაგრამ სამაგირენოდ მას ძალიან მწკლარტესა და ევროპიული გემოვნებისთვის მიუღებლადა პხდის. ჩვენი აზრით შესაძლებელია თანდაბანებითი გადასვლა ევროპიულ წესზე ღვინის დაყენების დროს: წითელი ღვინო უნდა დარჩეს ჭაჭაზე, რომელიდანაც წინათვე უმეტესი ნაწილი კლერტებისა არის ამოდებული, და შემდეგ გატარდეს წნევში (პრესში); ხოლო რაც შეეხება თეთრ ღვინოებს, — იმათოვის შეიძლებ ვისარგბლოთ იმ მეთოდით, რომელსაც ხმარობენ ზოგიერთ დასავლეთ ევროპის კვეყნებში. ე. ი. სანამ ტკბილი დამთავრებდეს უკლე-

ტო ჭაჭაზე დუღილს, მას გააცლიან ხოლმე ამ ჭაჭას. ასეთი ახალი ღვინო შეიცავს ისეთ საქმაო ტანინის რაოდენობას, რომელიც საჭიროა ღვინის შემდეგ განვითარებისა და დაწმინდებისთვის.

თუმცა ზევით აღნიშნეთ, რომ გუნდილო (ტანინი) იფარავს ღვინოს ავადმყოფობისა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად იგივე გუნდილო (ტანინი) არის მიზეზი ღვინის ავადმყოფობისა. დასავლეთში არსებობს ისეთი აზრი, რომ სიმწარეს ქვედებით ხოლმე მხოლოდ წითელ ღვინოში. პირველად პასტერის*) მიერ იყო ნაჩვენები ამ ავადმყოფობის მიზეზის კავშირი განსაკუთრებულ ბაქტერიებთან. შემდეგ გამოკვლევებმა აღმასაჩინეს, რომ ღვინის სიმწარეს აჩვენებს სხვა და სხვა გვარის ბაქტერიები და აგრძელებულ დამდუღებელი და ობის სოკუები. სიმწრე წარმოდგება გუნდილოფინი ნივთიერებისაგან. ხარისხი სიმწარისა პირდაპირ დამკიდებულია გუნდილო ვანი ნივთიერების რაოდენობაზე. ამის დასამტკიცებელი არის ის გარემოება, რომ დასავლეთ ქვეყნებში მწარე გემო აქვს მხოლოდ წითელ ღვინოებს, რადგან სწორედ ისინი შეიცავს ბევრს (თეთრ ღვინის უძარებთან შედარებით) გუნდილოვან ნივთიერებას. ეს ავადმყოფობა ამავე ქვეყნებში სრულიად არ არის ცნობილი თეთრ ღვინოებისთვის. ჩვენ ქვეყნაში კი, საკა თეთრი ღვინოებიც საქმაო შეიცავს გუნდილოვან ნივთიერებას, სიმწარე მათშიაც არის ხშირი მოვლენა. განსაკუთრებით ამ 1919 წლის თეთრ ღვინოებში ვხვდებით ამ სიმწარეს. ეს აისხნება იმით, რომ როგორც უკვე იყო მოსხეული მეტრი ღვინოები შეიცავს ბევრს გუნდილოვან ნივთიერებას და გარდა ამისა, რადგან საწმოლი მასალა არ იყო საქმაო ნახმარი, ტებილს ჩაჰყავა სიმწარის გამომ-

შევი დაობებული ყურძნის მარცვალი.

კახური ღვინოების ინალიზები გვიჩვენებენ, რომ მათ არ აქვთ ის თვისებები, რომლებიც სავალდებულოა კულტურული ქვეყნების ღვინოებისთვის. ამის მიზეზი ღვინის მასალაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მასალის მოხსერების უცოდინარობაში. თუ მეღვინე გამოიჩინს შესაუერ ცოლნას, უნარს და საშვალებაც ექნება, შესაძლებელია მემანენების მეურნეობის გაუმჯობესება. საღვინე ყურძნის ჯიშები, როგორებიც არის „რქ წითელი“, „საფერავი“ და „მშენენ“, საუცხოვო ღვინოებს მოგვეყდანენ, მათგან მიღებული პროდუქტის მოვლა რომ ესაბამებოდეს და მიზან შეწონილი იყოს მეცნიერულ და ტეხნიკის მოთხოვნილებათან, — რის დამატებიც ედლ საბუთისაც ვეხდეთ ჩვენს საუფლისწულო მაჟულების ღვინოებში. თელინის ვენახების წითელი ღვინის „საფერავი“ (1917 წლის მასაცალი) ისეთი მაღალი ღირსება აქვს, როგორიც გვხდება მხოლოდ საურანგეთის ზოგიერთ საუკეთესო ღვინოებში. ჩემის აზრით, თელინის ვენახებიღანვე მიღებული საფრანგეთის საუკეთესო ჯიშის „ბაბერნე“-ს ღვინით თავის თვისებებით ადგილს უთმობს „საფერავი“-სას. ჩვენი მეღვინოების გასაუმჯობესებლად საჭიროა თავი დავანებოთ იმ შეელ წესს, რომელსა ჩვენი მეღვინეები ასი და იქნება ათასი ელობითაც მისდევენ, და განვახლოთ მეურნეობის ეს დაზღვი მეცნიერების საუფლელზე, როგორც ეს უკვე განხორციელებულია ყველა ეტაპიულ ქვეყნებში. — მეღვინოების მეცნიერება შეიქმნა მას. შემდეგ, რაც საფრანგეთის გამოჩენილმა მეცნიერმა პასტერმა დამტკიცა, რომ ტებილის დუღილს იწვევს სოკოები Saccharomyces, რომ ეს სოკოები ხშირად განისაზღიან ერთმანეთისაგან და ყოველთვის ერთსა და იმავე პროდუქტს არ იძლევიან, რომ ღვინის

*) Pasteur, Etudes sur le vin 62 p. Paris 1875.

ავალმყოფობა დამოკიდებულია სხვა და სხვა ბაქტერიების მოქმედებაზე და სხვა- პასტერის გარდა გამოყენებითი მეცნიერების ასპარეზზე შემდეგში მომუშავე სხვა მეცნიერებმა შეძლება მისცეს თანმედროვ 30 შეღვინეს ღვინის დუღლილის მსვლელობის ღონებზე წაყვანისა, ამ დუღლილის გამოწვევისა განსაკუთრებულ შერჩეულ ჯაშების დედების შემწეობით, რომლებსაც ამზადებენ წმინდა კულტურით, ზომების მიღებისა, როგორც ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე მათი გაჩერის ღრის გათ მოსასპობად და ამ გვარად მედგარ, მტკიცე პრო- დუქტის შექმინსა.

თუ ჩვენ მეღვინეებს ჰსურთ მიჰბაძონ თავიანთ ევროპიელი მების მაგალითს, შათ უნდა თავიანთ მომეთა მსგავსად დააწესონ მეღვინეობის სადგური, სადაც ქიმიური სასწორით და მიკროსკოპის საშუალებით გადაკრება მეცნიერული ხა- სიათის პრატეიკული საკითხები: საუკუ- თესო ადგილობრივისა კან შემოტანილი ღვინის დედის წმინდა კულტურისა, ღვი- ნის გადაღების ღრისას, ვინცობა ავად- მყოფობა გაჩერდა, მისი გამოკვლევისა და სხვა. ამ სადგურს უნდა ვქონდეს საკუ- თარი ვენახი, სადაც განიხილავენ ადგი- ლობრივ და ევროპიულ ყურძნის ჯიშების კულტურისა, მისი მოსავლანობისა და გამ- ძლების საკითხს იმ მხრივ, თუ რამ- დენად ინარჩუნებს ესა თუ ის ვაზი- და ყურძნი თავის იმ თვისებებს, რო- მლებიც მათ საშობლო ადგილზე ახა- სიათებს. ამისთანა სადგურზე გარდა ნა- თქვამისა, იკვლევენ გაშენებული ვაზის ჯიშებს, მათგან მიღებული ღვინოების შეძალენლობას და სხვა. ამ მხრივ უკვე არის ნაბიჯი გადადგენული პატარა მას- შტაბით „შელაანის“. მეტ, ხოლო დიდი- ამ „საუფლისშულო მამულების“ უწყების ბხრით. ჩვენ უკვე გვაქვს ზოგიერთი ცნო-

ბები, რომლის მიხედვით განსაზღვრული აზრის შეღვენაც შეგვიძლია. როგორც საუფლისშულო მამულების და ფირმა „შელაანის“-ს ღვინოებიდან სჩანს, კიხთ- ის რისლინგი ჰკარგავს თავის მაღალ თვისებების და სრულიად უბრკეტო ღვი- ნოებს იძლევა. თუმცა რისლინგის შესა- ხებ უნდა ითქვას, რომ ის არც სხვა მე- ღვინეობის მხარეში ინახავს თავის დამა- ხასიათებელ ბუკეტს. მართალია ყირიმში რისლინგიდან ბუკეტიან ღვინოს იღებენ, მაგრამ მას ეს ბუკეტი მაინც რენისას არ უგავს. აგრეთვე ბორბლული ჯიშის ყურძნენი „კაბერნე“ კახეთში თუმცა მშ- ვენირ ღვინოს იძლევა, მაგრამ ძალიან განსხვავდება ნამდვილის ბორბლოს ღვი- ნოსაგან. საინტერესოა აგრეთვე მოტებო- ღვინოების დაზადების უდა. ჩვენ მიერ განხილულ „შელაან“-ს ორი ამისთანა ღვინო მოქანება: ერთ მათგანში („რის- ლინგი“ 1917 წ.) შაქრის რაოდგნობა იყო 2, 08%, მეორეში („რქა-წიოელი“ 1917 წლის) — 2, 85%. ამ ღვინოებში დუღლილი შეჩერებული იყო 80, ის შემ- წეობით. ღვინოს მოტებო გემი ჰქონდა. ცოტათ შუშებუნა სასმელს წარმოადგენ- და. ბოთლებში შეგანხული ეს ღვინო სრუ- ლიად გამჭვირვალო იყო და არავითარი უბრნებრივ ცვლილება არ განეცადა. ღვინის ნაცრის ანალიზის ღრის ჩვენ ყურადღება მივაჭიერ გოგირდისა და ფოსფორის მევას შეცულობის რაოდე- ნობას. ყოველი ღვინო შეიცავს ამა თუ იმ მევას, რომელთა შერის გოგირდისა და ფოსფორის მევაც მოიპოვება. მაგრამ ზოგჯერ განზარაცაც შეცყავთ ხოლმე ღვინოში ესა თუ ის მევა. მაგა- ლითაც, ღვინოს რომ გამლებული მიეცეს, იმ შემთხვევაში როცა ტკბილში მევაც ცოტაა, ჩაუმატებენ ხოლმე ღვინის ქვეშ მევას. გარდა ამისა საფრანგეთში ხმარ- იმენ „plairage“-ს და „phosphortage“-ს, რომლის შედეგადც ღვინოს გოგირდისა და ფოსფორის მევაც ემატება. ამიტომ

Հ Յ Ա Բ Թ Ե Ց Ո Ւ Տ Ե Ա Բ Ե	Ա Յ Ա Խ Ա Վ Ա Ր Ա Բ Ա Ր Ա Բ Ա Ր Ա Բ	Դ Ա Կ Ա Յ Ա Վ Ա Ր Ա Բ Ա Ր Ա Բ Ա Ր Ա Բ	Մ Ա Ր Ա Բ Ա Ր Ա Բ Ա Ր Ա Բ Ա Ր Ա Բ	Հ Ա Ր Ա Բ Ա Ր Ա Բ Ա Ր Ա Բ Ա Ր Ա Բ	Ը Ն Ա Բ Ա Ր Ա Բ Ա Ր Ա Բ Ա Ր Ա Բ	
					Ա	Ը
1	Սոց.աճՇեն, Տօլնալուս մաժրա	"	"մըլածն"		1912	0,9935
2	Ցշրջանի "	"	"		1912	0,9961
3	Ցշրջանի, "	"	"		1914	0,9935
4	Ցշրջանի, "	"	"		1914	0,9930
5	Ցբռյելք, Եղևազուս	"	"		1914	0,9945
6	Ցշրջանի, Տօլնալուս մաժրա	"	"		1889	0,9950
7	Կանգութեան	"	"		1910	0,9970
8	Կոնդռոլո, Եղևազուս մաժրա	"կանգութեան"	Սագյուրացո		1919	0,9963
9	Կոնդռոլո, "	"	Սագյուրացո		1919	0,9978
10	Կարճաճի, Տօլնալուս	"	"		1919	0,9968
11	Իշմլապո,	"	"մըլածն"	Սագյուրացո	1918	0,9958
12	ԱճՇենի, Տօլնալուս	"	"պաշտու-կաշուրու"		1917	0,9944
13	Շնանգալո, Եղևազուս, ո. թ.	"	Տաշլամիշոյու մաթր	կանգութեան	1917	0,9974
14	Շնանգալո, "	"	լու (Սալուլուսիշ-լու)	Սագյուրացո	1917	0,9958
15	Շնանգալո, "	"	"	Սագյուրացո	1913	0,9958
16	Իշմլապո,	"	"պաշտու-կաշուրու"	"	1919	0,9940
17	Ճինճիանի, Եղևազուս մաժրա	"կանգութեան"	"		1918	0,9960
18	Կարճաճի, Տօլնալուս	"	"		1919	0,9956
19	Հոլուսկից	"	"		1919	0,9976
20	Ցուցանուն	"	"		1919	0,9952
21	Իշմլապո	"	"		1919	0,9968
22	Ցուցանուն	"	"		1919	0,9966
Ծ Ա Կ Ա Յ Ա Վ Ա Ր Ա Բ Ա Ր Ա Բ						
23	Սոց. Կարյելո, Եղևազուս մաժրա	"մըլածն"			1914	0,9930
24	Ցջջոնի, Տօլնալուս "	"			1916	0,9888
25	Իշմլապո,	"	"		1917	1,0025
26	Իշմլապո,	"	"		1917	1,0086
27	Իշմլապո,	"	"		1913	0,9920
28	Կարճաճի,	"	"կանգութեան"		1919	0,9988
29	Մոհատպեանի, Եղևազուս մաժրա	"			1919	0,9970
30	Ցուցանուն, Տօլնալուս մաժրա	"պաշտու-կաշուրու",			1917	0,9932
31	Շնանգալո, Եղևազուս, ո. թ.	Տաշլամիշոյու մաթր	կանգութեան		1917	0,9925
32	Մոհատպեանի, Եղևազուս մաժրա	լու (Սալուլուսիշ-լու)	կանգութեան		1914	0,9937
33	Շնանգալո, Եղևազուս, ո. թ.	"	րուսունցի		1917	0,9918
34	Հոլուսկից, Տօլնալուս մաժրա	"պաշտու-կաշուրու",			1917	0,9938
35	Կուրիչու, Տօլնալուս մաժրա	"	կանգութեան"		1909	0,9898
36	Կարճաճի, Տօլնալուս մաժրա	"	"		1918	0,9938
37	Կոնդռոլո, Եղևազուս	"	"կանգութեան"		1919	0,9939
38	Ցակուրցից, Տօլնալուս	"	"		1919	0,9943
39	Հոլուսկից	"	"		1919	0,9924
40	Կարճաճի	"	"		1919	0,9965

Ցընոթեա I. № 6 Ընկուն Տօլնալուս մուկլութեալու, Եղևա Ցուրտպեան մայքս. № 25 ու № 27 Ցընոթեա առանց գայլքեթեալու. № 32 Յանուարի Տեղու այցես.

Ցընոթեա II. №№ 1, 3, 4, 6, 7, 18, 21, 23, 26, 27, 39 ու 40 Ցակուրցիթեալու ու.

№№ 8—15 ու 28—31 Ցակուրցիթեալու մ. Ֆալամերուածու մոյքս; №№ 14—16 ու 32—35 Ցա

180806 86M040

କ୍ରେମିଶନ ପାଦା	ସାରଣୀତି ବିନ୍ଦୁ	ବିନ୍ଦୁ ବ୍ୟକ୍ତିଗତ ବିନ୍ଦୁ										
11,8	0,69	0,15	0,049	0,94	3,09	0,16	0,35	0,25	0,80			7,98
11,96	0,74	0,07	0,014	0,82	3,65	0,20	0,51	0,30	0,29			6,7
9,06	0,79	0,21	0,12	0,56	2,66	0,07	0,43	0,26	0,89			6,6
10,5	0,70	0,17	0,09	0,57	2,91	0,05	0,44	0,27	0,84			5,4
10,36	0,75	0,19	0,13	0,88	3,21	0,17	0,54	0,28	0,27	0,037		8,5
10,52	0,77	0,19	0,09	1,17	3,24	0,25	0,29	0,32	0,24			11,4
11,01	0,79	0,22	0,07	1,13	3,89	0,19	0,19	0,30	0,14			10,26
9,16	0,65	0,06	0,27	0,66	2,64	0,13	0,46	0,22				6,2
10,04	0,46	0,10	0,18	0,68	2,85	0,30	0,54	0,12	0,35			6,7
8,77	0,65	0,19	0,20	0,61	2,83	0,11	0,54	0,26	0,45			7,0
10,4	0,73	0,05	0,17	0,73	3,15	0,14	0,53	0,29	0,54			7,0
9,92	0,68	0,11	0,18	0,71	2,70	0,11	0,46	0,24	0,29	0,022		7,2
8,73	0,66	0,06	0,19	0,73	2,76	0,11	0,38	0,25	0,23	0,050	0,029	8,3
9,13	0,69	0,12	0,25	0,74	3,09	0,38	0,41	0,24	0,23	0,040	0,033	8,11
8,35	0,74	0,09	0,24	0,58	2,77	0,05	0,44	0,25	0,19	0,059	0,03	6,94
9,70	0,62	0,13	0,23	0,65	3,05	0,13	0,56	0,28	0,42			6,5
10,03	0,74	0,16	0,20	0,94	2,96	0,14	0,49	0,26	0,34			9,37
10,40	0,54	0,17	0,11	0,77	4,02	0,49	0,60	0,25	0,46			7,38
10,80	0,50	0,11	0,06	0,70	3,81	0,64	0,71	0,32	0,61			6,51
10,60	0,50	0,12	0,13	0,68	3,25	0,43	0,56	0,34	0,49			6,39
10,40	0,62	0,12	0,18	0,61	3,80	0,53	0,46	0,27	0,38			5,84
10,50	0,89	0,11	0,14	0,72	3,27	0,27	0,73	0,29	0,44			6,85

9,3	0,68	0,11	0,09	0,71	2,44	0,09	0,30	0,27	0,22			7,63
8,45	0,66	0,17	0,12	0,69	2,41	0,18	0,33	0,27	0,28	0,010		8,15
9,25	0,70	0,22	0,19	0,75	4,43	2,08	0,06	0,18	0,19			8,1
8,62	0,72	0,22	0,23	0,55	6,15	2,85	0,07	0,19	0,23			6,49
9,85	0,76	0,20	0,17	0,69	1,86	0,03	0,16	0,23	0,21			7,04
10,40	0,64	0,21	0,15	0,59	2,61	0,17	0,51	0,20	—			5,7
8,73	0,56	0,18	0,17	0,51	2,51	0,15	0,48	0,22	0,31			6,9
10,0	0,45	0,06	0,13	0,63	2,33	0,13	0,48	0,28	0,34	0,022		6,3
10,14	0,74	0,06	0,27	0,80	1,96	0,05	0,03	0,17	0,13	0,034	0,020	8,0
8,0	0,73	0,13	0,29	0,51	1,95	জন্ম	0,03	0,17	0,26	0,039	0,025	6,43
9,64	0,71	0,09	0,38	0,52	1,97	জন্ম	0,04	0,15	0,16	0,038	0,017	5,42
9,53	0,62	0,19	0,12	0,72	2,27	0,12	0,49	0,13	0,26			7,57
9,92	0,79	0,19	0,06	0,35	1,58	—	0,04	0,23	—	0,012	0,027	3,6
10,60	0,52	0,09	0,25	0,85	2,00	0,19	0,32	0,21	0,35			8,04
9,81	0,79	0,04	0,40	0,75	—	জন্ম	0,32	—	—			7,60
12,19	0,93	0,05	0,06	0,93	3,17	0,63	0,37	0,22	0,46			7,59
10,70	0,54	0,12	0,09	—	—	—	0,48	—	—			—
10,81	0,53	0,17	0,14	0,88	2,86	0,24	0,37	0,26	0,44			8,17

26 ლვინოები უჭიჭმად არიან დაყენებული, მოტკეთ გემოსი და ცოტათი შეუშენა არიან.

ନୀତିଶୈଳୀରେ ମିଳିର; ଅନ୍ୟ 2, 5, 17, 22, 24, 25, 36, 38 ପାଇଁ ଉପଲବ୍ଧ ହାଏ 6. ବିଭିନ୍ନ ଶୈଳୀରେ ମିଳିର;
ଅନ୍ୟ 3. ଦେଖିବାରେ ମିଳିର.

უკველ დვინის მკვლევარისთვის საინტერესო იცოდეს ლვინოში ამ მევათა ნორმულური ოდნობა, რომ შესძლოს დასკვნის გამოყენა, ძალიად არის ლვინოში შეყვანილი ესა თუ ის მევა თუ არა.

დუღილის მოთავების შექმნები და ლვინოში ჩატარდება, რომელიც ტკბილში არსებულ ნივთიერებათა ნაწილიდან ვათარდება, ამას გარდა - ზეკრი ლვინოში შეიცვენ ისეთს სურნელოვან ნივთიერებას, რომელიც ლვინოს განსაკუთრებულს გემოს იძლევთ. სხვა და სხვა აზრი არსებობს მის შესხე, თითქას ბუკეტი მაღალებელი დეფის წყალობით ჩატარდება. ბეკას ჰერნი, რომ ღუღილის დეფის მიერ წაუკომოვად ამ აზრის დამცველნი იღია ჩემები, რომ ზოგიერთი წითელი ლვინოების დედა რაგორც მაგლითად ბორდოს ლვინოებისა, განსაკუთარებულ ხასიათს ძლიერს ლვინის ბუკეტს. საერთოდ ბუკეტის გამჩნენ ნივთიერებათა ბუნება ჯერ კიდევ არ არის გამოცვლული. მათი რაოდენობა ლვინოში ნამეტანი პრიზე. ამის მიუხედავად ლვინის ღირს სების დაფასებისთვის მთ საყურადღებო მისუნიქობა ეძლევა. ერთის თქმა კი შეგიძლია, რომ ქიმიური ბუნება ამ ნივთიერებათა ნამეტები როტულია. თითქმის ჭველა ლვინოში პოულობა ჩენ განილის კვილს, რომლის აღმოჩენაც აღვილია მის განსაკუთრებულ სურნელების გამო. განხილულ სურნელების გამო. განხილულ ხილულ ლვინოებიდან ქანილი ყველაზე მეტად ემჩნევო სალფლისტულო მმულის რქა-წითელიდან დამზადებულ ლვინოს.

ლვინის ანაოიზებს რომ შევუდევთ ჩენ, მხედველობაში გვქონდა სხვადასხვა მეღვრნეობის მიდამოების ლვინოების შემადგენლობის შესწავლა, შემჩნევა თუ რა გავლენა-ქვს ლვინის თვისებაზე ნიადგა, ჰავას, ამინდს და ვაზის სხვა და სხვა ჯიშს. უმეტეს ნაწილი განხილულ ლვინოებისა ეკუთვნის 1919 წლის მოსავალს, თუმცა

გვხვდება აგრეთვე უფრო დადა ხნის ლვინოებიც, ასე ძაღლითად ლვინო 1989 წლისა (30 წლის). ამ კახურად დამზადებულ ლვინოს დაუკარგავს ჩეცულებრივი ლვინის თვისება, ფერი შესცვლია და დამსგაცებია პორტვეინისას. აქედან გამომზინარეობს, რომ კახური ლვინოები ჩეცულებრივი წესით დამზადებული 30 წლითდე და მეტად არ შეინახებინ. მაგრამ აქედან არც ისა სჩანს, თითქმის კახური ჯიშის ვაზისაგან ვერ დამზადება ისეთი ლვინო, რომელიც 30 წელიწიდი და მეტიც შეინახება. ამისთვის საპირო საფარისგეთის სასტემა მივიღოთ და ლვინოს რაც შეიძლება მეტი ლვინის ქვას შეუნარებულო. ის ლვინოები, რომელიც მაც სერთო ს. მეუკე 0,5% უდინს, ცხადია ვერ შეინახება დიდხანს, რაღაც დროს განმავლობაში ლვინიდან გამოიყოფის ლვინის ქვა და გრეთვე ორფუქინან ვაშლის მევა გადადის ერთფუქინ რძის მევად, რის გამოც საერთო სიმეტავე ლვინოში კლებულობს, ლვინო ნაკლებად გამჭველ ხდება და ჰკარგავს აფაღყუფობასთან გრძელის უნას. კახური ლვინოები ვერ შეინახება ასე დიდხანს, ხოლო 6 და 7 წლითდე კი კახური ლვინოები აღვილად ინახება, — ამ შემთხვევაში მეტადრე კარგად შენაბულა საუფლოსწულო მაშვლის ლვინო „საფერავი 1912 წლისა“.

ჩენ შეძლება გვქონდა მიგველა უმეტეს წილად სიღნაღის მაზარის ლვინოები, თელავისა ნაკლებად. რაც შეიგება ქართლის ლვინოებს, ანალიზისთვის მათი მიღების საშვალება ჩენ არა გვქონდა. დასვლეთ საქართველოდან გვქნდა მხოლოდ მეტრული ლვინის ერთობენ.


ვსარგებლობ შემთხვევით მაღლითად გამოუცხადო „კახეთი“-ს საზოგადოებს, „კავშირთ-კავშირი“-სას, ფირმა „მელა-ან“-ს, და აგრეთვე სახელმწიფო მამულების უწყებას, რომლებმც ლვინის ნიმუშები მოგვაწიდეს.

პროფ. პ. მელიქიშვილი.




კავშირთ - კავშირის მიერ მოწვეული „მეცნახეთა ყრილობა

“ შემდგარი 1920 წ. 29 ოგვისტოს ს. ველისციხეში.




၇၀၅၁၃၀၆၀



၈၃၂၄၆၀၉၀

“သာဆရာတ်-ဒေသဆရာတ်ပုံ၊ မြန်မာဂိုဏ်ပါ ဓမ္မသုတေသနအဲ”



„კაგშირთ-კაგშირის“ კუნტორა და მოსამსახურებთა საცხოვრებელი
სახლები მუკუჭანში

კანალ მავნეახალ თათგრი.

„კაგშირთ-კაგშირის“ თაოსნობით ს. ვე-
ლის-ციხეში შემდგარ ყრილობის
ოქმი.

1920 წლის 29 იგვისტოს კახელ მე-
ვენახეთა კავშირთ-კავშირის თაოსნობით
სოფელ ელის ციხეში აღილობრივ შემნა
ხელ-გამსესხებდელ მიხანგობის ეზოში შეს-
დგა ყრილობა-თათბირი შესვენება-მეცე-
ნახერ ბას დღევანდელ მდგომარეობასთან
დაკავ მირებულ საკითხების გასარკვევად.
ყრილობას დაესწრენ ქ. თბილისის, სი-
ლინაძის და თელივის სხვა და სხვა დაწე-
სებულებათა წარმომადგენელი.

აჭ იყვნენ ჩრდილოებული მწარმოქმე-
დების სამინისტროს, ერობისა და სხვა

კომპერატიულ და ფინანსიურ დაწესებუ-
ლებათა წარმომადგენელი, აგრძნომ-
სპეციალისტები მეურნეობის სხვა და სხვა
დარგებისა და იღვილობრივი მეურნე
გლეხობა. კრება გასწნა დღის 11 საათზე
კავშირთ-კავშირის გამგეობის თავმჯდო-
მარე გიორგი წინამდებრიშვილმა, მიესალ-
მა დასწრეთ კავშირთ-კავშირის სახელით,
ამცნ მათ რომ კავშართ-კავშირი დღე-
სასწაულობს თავის 2 წლის არსებობას
და სთხოვა პრეზიდიუმის არჩევა.

კრების თავმჯდომარედ ყრილობამ თარ-
ჩია კომპერატიულ ბანკის გამგეობის თავ-
მჯდომარე გრიგოლ დუმბაძე. მდივანად
—ალექსი ხატის კაცი.

თავმჯდომარემ მიმართა ყრილობას მი-
სასალმებელ სიტყვით, რომელშიც აღნი-
შნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მე-
ლინენება-მეცენატების იყვავებას რო-

კორც ერთ თვალსაჩინო დარგს მეურნეობაში სახელმწიფო ეპიდიეტიკი თვალსაზრისთ. აღნიშნა რომ ოქსპედიკის განმტკიცებისთვის საჭიროა მისი ცონომიურად აღორძინება და იმ ორგმნიზაციების ხელის შეწყობა, რომელიც ამ საქმეს ემსახურებიან. სხვათა შორის მიაქცია კრების უურალება კავშირთ-კავშირის უჩინარ, მაგრამ მეტად ნაყოფიერ მუშაობას და უსურვა მომვალისთვის საქმის გაფართოვება—იყვავება. შემდევ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთვეს სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა აგრძნომა დ. გედევანიშვილმა, მიწადომებდების სამინისტროს რწმუნებულმა კ. ბერეკაშვილმა, სიღნაღის სამაზრო ერობის სახელით დ. კარიქაშვილმა, ცენტრობანკის ლირეტორმა ნ. თავდგირიძემ და საქართველოს მელინე მევენახეთა ყრილობათა საბჭოს წარმომადგრენება მ. შალამბერიძემ. ყველანი ხაზგასმით აღნიშნავდენ, რომ მელინე-მევენახება რცგოლც მაღალი კულტურა მეურნეობისა, მოითხოვს მეტ და რთულ შრომას, მაგრამ თუ გვინდა რომ ჩვენი სახელმწიფო განათლებულ ქვეყნებს ამოუყენოთ გვერდში საჭიროა დიდი უურალების მიქვეა ამ კულტურის დაცვა-განვითარებისთვის.

სიტყვების შემდევ წაკითხულ იქმნა მილოცვის დეპუტები ქ. ბათუმიდან აგრძნომ ლომიურისგან და რცხილიძისაგნ, თბილისიდან სახელმწიფო ბანკის შმართველისაგნ და საქართველოს ცენტრალურ კონკრეტულ კავშირისაგნ.

მოლოცვების დასასრულს გ. წინამდლორიშვილი აცნობს ყრილობას კახელმევენახეთა კავშირთ-კავშირის წარმოშობის ისტორიას, მის საქმიანობას და გან-

ზრახულ მოქმედების გეგმას მომავალში-კრილობაში მოისმინა, რომ მიუხედვათ მძიმე პირობებისა კავშირთ-კავშირმა უწლის განმავლობაში შეაკავშირა 4400 წევრი 4200 დესტრინა ცენახით, მიაწოდა მეცნიანები გვიახისთვის საჭირო საწალებელი მასალა, მაგალითი და სხვა მეურნეობისთვის აუცილებელი ხელ-საწყო-კავშირთ-კავშირს დაუწყია ფაქტური მოქმედება 1918 წელს, წესდება დაუმტკიცებია საოლქო სასამართლოს 1919 წელს და ამ მოკლე ხანში კავშირთ-კავშირს მოუწყვება თბილისში ღვინით სავაჭრო სარდაფი, გაუხსნია განყოფილება ქ. ბათუმში, გადაუბრუნებია 16 ათასი ველრი ღვინო, შეუძნია საკუთარი სარდაფისთვის მამული კახეთში საღვურ მეუკუნეთან და აუშენებია საწყობები და შენობები მუშა მოსამსახურეთათვის. მომავლისთვის უფრო ფართო მასშტაბით ფიქრობს კავშირთ-კავშირი თავის საქმიანობის განგრძლებას. როგორც აღნიშნა გ. წინამდლორიშვილმა, კავშირთ-კავშირის დაუსახვას მიზნიდ ფილოქერასთან ბრძოლა და ამისთვის საჭირო ამტრიკულ ვაზზე დამყნილ სანრგეთა გამრავლება. ამ მიზნისთვის კავშირთ-კავშირის გამოუთხოვია მიწადომებდედების სამინისტროსა გან 14 დესტრინა მიწა. მომხსენებელმა მიაქცია ყილობის ყურადღება აგრძელებე იმ საფუძვლებს, რომლებზედაც კავშირთ-კავშირი ამყარებს თავის საქმიანობას და მიუთითა იმ განტემობაზე, რომ უკვე არ-სებულმა სოფლად ეკონომიკურ არგანიზაციებმა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა სახით დიდი დახმარება გაუწიეს კავშირთ-კავშირის შექნას.

კავშირთ-კავშირმა შეაკავშირა სამი უდიდესი და უძლიერესი ამხანაგობა, სახელმიწოდებრ, ველისციხისა, გურჯაანისა და კარლენანისა.

უახლოები თანამშრომელი წვკრი კავ-
შირთ-კავშირისა არის ველისციხის ამხა-
ნაგობა და ყრილობა თათბირის გამართვა
ველისციხის ამხანაგობის ბინაზე გამო
წყველია იმ მიზნით, რომ ყრილობა გა-
უცნოს ველისციხის ამხანაგობის საქმ ა-
ნობს და თვალით ნახოს ამ საქმიანობის
ნაყოფიერება.

ამის შემდევ ველისციხის შემნ. — გამს.
ამხანაგობის გამგეობის თავჯდომარე ნ.
ჭილიძე კავშირის ყრილობის ამხანა-
გობის საქმ ანობას და აღნიშნავს წარსულ
და დღევანდელ მოქმედებ ს. მომხსენებ-
ლის სიტყვიდან ირკვ: ვა, რომ ველისცი-
ხის ამხანაგობა მ ჩირუ სიუფაველზე სდგას,
რომლის თვაური ბარანსი ნ მილიონ
მაჩვთს აღწევს.

ამის შემდევ ყრილობამ თათბირს მო-
ახსნება დღიური წესრიგი. განსახილველი
იყო შემდევი საშინაობი:

1. დღევანდელი მ ზაგ მარეობა ჩვენი
შეერთების მეცნიერებისა.

2. კრიზისდან თავის დასაღწევად სა-
შირო ლონისძიებანი.

3. ჩვენ მეურნეობასთან შეფარდებული
შეცვენახოთ ეკონომიკურ თარგანიზაციის
ტრიბი.

პირველი ორი საკითხის გასაშუქებლად
შომისნებელი შექმნ. ჩვენი სასოფლო მე-
ურნეობის მდგომარეობას, საზოგადოდ მის
შეიმუშავებობას მშობლივ ქვეყნისთვის:
მან აღნიშნა, რომ ჩვე ი სახელმწიფოს
ქონებრივ დავლათის შექმნაში სასოფ-
ლო მეურნეობას უდიდესი აუგილი უჭი-
რავს. ამისთვის საჭიროა სახელმწიფომ
იზრუნოს საქართველოს სასოფლო მეურ-
ნეობის მაღალ კულტურულ დარგების
განვითარებისა და შემის ნაყოფიერეა
ბის მომატებისათვის.

მაღალ კულტურის რგოლა შორის

საქართველოს სასოფლო მცურნეობაში
განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მე-
ლვინე-მეცნიერებას, რომელიც უძნე-
ლები და უძვირფასესი კულტურაა; ამა-
თანავე მეცნიერების წარმოება არი ფრიად
რისკიანი სეტყვისა და სხვაგვარ ატმოს-
ფერულ მოვლენათა და ავადმყოფობათა
მეობიბით. დაუსრულებელმა მსოფლიო
ომა სრულიად შეარყია სასოფლო მე-
ურნეობის საფუძველი და ჩვენ სასოფლო
მეურნეობაშიც შესამჩნევი გარდატეხა მო-
ახდინა. მოგვწყვიტა რა იაფი პურის ში-
ლების საშვალებას, ლიდ საფრთხეში ჩა-
გდო ყოველი ჩვენი დარგი სასოფლო
მეურნეობისა. პურის საშინელი სიძირის
გამო ქართული ხალხი სტოკებს ამ უკა-
ნასკნელ წლებში შესწავლილ წარმოებულ
ძვირფას მეურნეობას და გადადის უფრო
იაფ სახელდახმალო და დღესდღეობით
უფრო შემოსავლიან დარგზედ — ხვნა-თვ-
სკუნედ. სხვა მაღალ კულტურულ დარგ-
თა შორის კულაზედ მეტად მეცნიერებია
დაზარღოლდა. უკანასკნელ წლებში სრუ-
ლიად მოისპო კენაცების სივრცის ზრდა,
რაც წინეთ ყოველ წლიურად კენახების
რაოდენობის ოთხმის 10 პროც. უდრიდა.
აქ მომხსენებელს მოჰყავს ცნობები
1916 წლიდან 1920 წლის მეორე ნა-
ხევამდე ლივინის და პურის გადაზიდვის
შესახებ კახეთის რკინის გზით, რომლი-
დანაც სინს, რომ კახეთში პურის შეზიდ-
ვა გარედან 1916 წლ. თუ უდრიდა
1.071.331 ფუთს — იგი თანდათან კლე-
ბულობს და 1920 წელს სულ რამდენი-
მე ასეულ ფუთზე ჩამოდის. პირიქით, კა-
ხეთიდან პურის გამოტანა გასაოცარად
იზრდება და, თუ 1916 წელს გამოტანი-
ლა კახეთიდან 9. 77 ფუთი, 1920 წლის

პირველ ნახევარს ე. ი. როცა უკვე
გამოზიდულია წინა წლის მოსახლი —
გამოტანილა 524. 177 ფუთი, სამეცნიე-
როდ ღვინის გამოტანა თანდათან კლებუ-
ლობს და, თუ 1916 წელს გამოუზიდნია
პრეტო 495. 839 ფ. ღვინო (ამ წელი-
შიდას დიდი რაოდენობა ურმებით და
ფურგუნებით გამოჰქონდა), 1920 წლის
პირველ ნახევარში (ღვინო კი სწორედ
უმთავრესად წლის პირველ ნახევარში გა-
მოაქვთ) გამოუტანიათ მხოლოდ ბრუტო
228. 796 ფ. შექმნილ კრიზისიდან თა-
ვის დასახურევად მომხსენებელმა მიუთით
საჭირო ზომებზე, რომელიც უნდა მიი-
ღოს სახელმწიფომ საზოგადოებრივ ორ-
განიზაციების დახმარებით.

1. საჭიროა შინაური წარმოების წა-
ხლისება მეზობელ სახელმწიფოებიდან
იაფი და დაბალი ღრასების ღვინის შე-
მოტანის შეზღუდვით და დაბეგვრით თუ
შემოტანის აკრძალვით.

2. უცხოეთში გასატანათ დანიშნული
ღვინო ბაჟიდან და აქციზიდან უნდა გან-
თავისუფლდეს.

3. რესპუბლიკის საზოგრებში ღვინო-
ზე დაცებული გადასახადის ნორმა უნდა
შეცირდეს.

4. პარალელურად საჭიროა მევენა-
ჰეთათვის ფართო დახმარების აღმოჩენა
ა) ფალოქერის წინააღმდეგ ბრძოლაში
სანერგების და საცდელ საჩვენებელ სა-
ჭიროს მოწყობით; ბ) სეტყვასთან ბრძო-
ლაში სავალდებულო ურთიერთ შეარის
დაზღვევის მოწყობით და სეტყვასთან
საბრძოლველ საშეაღებათა გავრცელებით
სახელმწიფო მასშტაბით გ) ვაზის დაღვი-
ნის სწორებებთან ბრძოლაში სხვადა-
სხვა საწამლებელ მასალათა და იარაღ
მანქანათა მიწვდენით.

5. საჭიროა ეკროპიულ სასაჩდაფო მე-
ურნებით განწყობილ კოოპერატიულ
სარდაფების შექმნისთვის (სადაც შესა-
ძლებელი იქნება უცხოეთისთვის შესაფერ
ღვინის დაზადება) გადადებულ იქმნას
სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული
თანხები სესხის სახით.

მომხსენებელის აზრით ყოველივე ზე-
მოხსენებულ ზომების გაზარება ცხოვრე-
ბაში შესაძლებელია მხოლოდ თანდათა-
ნობით, რაც მოითხოვს დიდს დროს. მეცე-
ნახეთა აშინდელი მდგომარეობა კი გვაი-
ძულებს ეხლავე მივემცელოთ მათ საშინელ
კრიზისის თავიდან ასაცილებლიდ, რის-
თვისაც წინადადებას აძლევს ყრილობს
გაითვალისწინოს მან, რომ დღესდღეობით,
ვინაიდან მდგომარე წელს საქართველოში
მოსალოოცნელია ღვინის საშუალო მოსახ-
ლი და მისი გასაღება ძლიერ გაჭირდება,
რაც წვრილ მევენახეებს ჩაგდებს ჩარჩების
ხელში, და საჭიროდ აღიაროს:

1. აღიძრას შუამდგომლობა მთავრო-
ბის წინაშე აღმოჩენის მევენახეთ ღვი-
ნის გირავნობის ქვეშ მიცემულ სესხით
დახმარება.

2. სესხის მიცემა მევენახეთათვის მოხდეს
სახელმწიფო და კოოპერატიულ ბანკე-
ბის, კახელ მევენახეთა კაფშრატ-კავშირის,
საკრეულიტო კავშირთა და საკრედიტო
მმარავობათა საშუალებით.

3. სესხის საჭირო რაოდენობის გა-
მორკვევა, მისი მიღების და გაცემის წე-
სების დამუშავება და მთავრობის წინაშე
შუამდგომლობის აღძვრა დაუვალოს კოო-
პერატიულ ბანკის, კახეთის და სიღნაღის
კოპერატივთა კავშირების, კასელ მევე-
ნახეთა კავშირთ-კავშირის, საზოგადოება
ახეთს, მწარმოებელთა გამსალებელ კავ-

ზრის და მელვინ-მევენახეთი ყრილობა-
თა საბჭოს წარმომადგენელებს.

4. ამავე დაევალოს გამოარტვიონ
უცხოეთში გასატანათ შესაფერ ნაწარ-
მოების ეხლავე დამზადების შესაძლე-
ბლობა.

თაობრზე პირველმა დებულებამ გამო-
იწყო ხანგრძლივი და მწავე კამათი.
აზრთა სხვა და სხვობას ორი მიმღინა-
რება მიიღო. ერთი გამოსთქვამდენ
სურვილს სრულიად აღიკრძალოს მეზო-
ბელ სახელმწიფოებიდნ ღვინის შემო-
ტანა. შეორეთა აზრით უნდა ვავა-
უმჯობესოთ ტეხნიკა მელვინეობისა, რა-
ღალ ხარისხის ღვინოები დავაძხადოთ
ევროპიულთა გემოვნებაზე და ახ შევე-
ჯიბროთ მეზობელ სახელმწიფოთა ღვი-
ნოებს.

აზრთა ვაცლა ვამოცლის შემდეგ
თათბირმა ეს დებულება მიიღო შემდეგი
რედაციით: საჭიროა შინაური წარმო-
ბის წახალისება მეზობელ სახელმწიფოე-
ბიდგან ღვინის შემოტანის შეტღულვით
დროებითი დაბეგვრის საშუალებით.

კამათი გამოიწვია იგრეთვე მეორე დებუ-
ლებამ, რესპუბლიკის სახლვრებში ღვინო-
ზედ დადებულ გადასახადის ნორმის შემ-
ცირების შესახებ. თათბირმა გიდასწვი-
რია უცლელად მიიღოს ეს დებულებაც. უ-
ცლელად იქმნა მიღებული აგრეთვე და-
ნარჩენი ნაჩენები ზომები მელვინეობა
მევენახეობის კრიზისიდგან თვის დასაღ-
წევალ.

რაც შეეხდა დღიურ შესრიგში აღნი-
შულს მესამე საკითხს, მომხსენებლის წინა-
დადებით იგი მოხსნილი და გადადებული იქ-
მნა სხვა დროისთვის, როგორც უფრო რთუ-
ლი საკითხი, რომელიც მეტადებას

მოითხოვს.

ამის შემდეგ სიღნაღის სამაზრო ერო-
ბის გამგეობის წევრიმა ი. ქართაშვილმა
შემოიტანა წინადადება, თათბირს ვამზ-
ეთქმა სურვილი, რომ ჩუმლაყის სანერ-
გე არ ჩამოერთვას სამაზრო ერობის.
ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია.
უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ თათბირის
არ შეეძლო ამ საკითხის დაყენება, ვინა-
იდგან მას არა აქვს მასალები, თუ რამ იმ-
ტელა მთავრობა, რომ ჯერ ვადასცა
ჩუმლაყის სანერგე სიღნაღის ერობას და
შემდეგ ჩამოართვა. ბოლოს ეს სა-
კითხი მოხსნილ იქმნა და ამის შესახებ
დ. კრისტეშვილმა შემოიტანა წინადადება,
რომ ჩუმლაყის სანერგე ვადაეცეს ისეთ
დაწესებულებას, რომელიც ახლოს სდევის
მსახან და რიგინად მოუყვლის. შეს

თათბირმა მიიღო ეს წინადადება და
კრისტეშვილი ნაშეადლევის 4-ის ნი-
ხევარზე.

კრების თავმჯდომარე გ. დუმბაძე
მდივანი ალექსი ხატისკაცი.

ყურადღება!

რედაცია უმორჩილესადა სთხოვს მკო-
ნებებს და თანამოაზროვნეთ, გაუშიონ
ჩევნ ჟურნალს გულ მხურვალე თანამშრომ-
ლობა და დრო გამოშეებით მოაწოდონ
სათანადო მასალები: სპეციალური წერი-
ლები, შეკითხვები, ცნობები აღგილობ-
რივ საჭირო-მოროვო საკითხთა მოსავლი-
სა, ამინდასა, ვაზის ავადმყოფობათა და
სხვათა შესახებ. ცნობები საჭიროა იგ-
ზანენბოლეს ყოველ ორკვირაში ერთხელ
თუ არა, ყოველ თვიურად მაინც.

3 135
1920